



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული  
ხელოვნების ისტორიისა და ეგლითა დაცვის მროვ-  
ლელი კვლევითი ცენტრი

2017 წელს განხორციელებული საქმიანობის

ანგარიში





## პრეამბულა

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად

დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

## **გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის მროვლული პლატფორმი ცენტრი**

ცენტრის დირექტორი – მარიამ დიდებულიძე, ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი

**პერსონალური შემადგენლობა:**

**ადმინისტრაცია:**

- ზედგინიძე ლევანი – დირექტორის მოადგილე
- ბუკია იზა – ფინანსური მენეჯერი
- სიმსივე ვალიძა – კანცელარიის გამგე
- ლარიბაშვილი ნანა – საქმის მწარმოებელი

ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს  
სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს  
თავმჯდომარე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი  
თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე - ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თამარ ბელაშვილი.

### **ცენტრის სტრუქტურა:**

**სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:**

- ძეგლი ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – დავით ხოშტარია);
- თანამედროვე ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – მარინა გაჩეჩილაძე);
- არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე – გურამ ულენტი);
- ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი  
(ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – თამაზ დვალი).
- ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის  
ლაბორატორია (გამგე - მარინა ფანცხავა).

### **ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება**

- ხოშტარია დავითი - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი  
თანამშრომელი
- ბულია მარინე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
- გომელაური ნინო - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
- ელიზბარაშვილი ირინე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
- თუმანიშვილი დიმიტრი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
- მაჩაბელი კიტი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

7. მიქელაძე ქეთევანი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
8. ოქროპირიძე ასმათი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
9. სანიკიძე თამაზი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
10. გენია მარინე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
11. ჭიჭინაძე ნინო - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
12. ხუნდაძე თამარი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
13. ხუსკივაძე ლეილა - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
14. ჯანჯალია მზია - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
  
15. გაბაშვილი მარიამი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
16. გედეგანიშვილი ეკატერინე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
17. კვაჭატაძე ეკატერინე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
18. სურამელაშვილი მანანა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
19. ჩახხუნაშვილი ციცინო - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
  
20. ჭანიშვილი გიორგი - მეცნიერი თანამშრომელი
21. აბაშიძე-დადიანი ქეთევანი - მეცნიერი თანამშრომელი
22. არონიშვილი ნოდარი - მეცნიერ თანამშრომელი
23. დადიანი თამარი - მეცნიერი თანამშრომელი
24. ლილუაშვილი მანონი - მეცნიერი თანამშრომელი
25. მანია ირინე - მეცნიერი თანამშრომელი
26. ნაცვლიშვილი ნათია - მეცნიერი თანამშრომელი
27. პატაშური გიორგი - მეცნიერი თანამშრომელი
28. საბაშვილი ქრისტინე - მეცნიერი თანამშრომელი
29. ჩიტიშვილი ნატალია - მეცნიერი თანამშრომელი
30. ჩიხლაძე დავითი - მეცნიერ თანამშრომელი
31. ციციშვილი ნინო - მეცნიერი თანამშრომელი
32. ხოსროშვილი თამარი - მეცნიერ თანამშრომელი
33. ხოშტარია თინათინი - მეცნიერი თანამშრომელი
34. ჯანანაშვილი ქეთევანი - მეცნიერი თანამშრომელი

### **თანამედროვე ხელოვნების განყოფილება:**

1. გაჩეჩილაძე მარიამი - **განყოფილების გამგე**, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
2. ანდრონიკაშვილი ლალი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3. გერსამია თამაზი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4. თუმანიშვილი ელენე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
5. ლევა სამსონი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
6. მანია მაია - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
7. მემარიაშვილი მარინა - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
8. ჭოდოშვილი ნინო - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
9. ოქლეი მარიანა - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
10. ციციშვილი მაია - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
11. ხოშტარია გიორგი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

12. ბელაშვილი თამარი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

13. კილაძე ციხია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
14. მირცხულავა ნანა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15. გაბატაძე თეა - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
16. ჩიხრაძე მზია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
17. ჩიტორელიძე სოფიო - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

18. ლებანიძე დალი - მეცნიერ თანამშრომელი
19. ჭინჭარაული ნინო - მეცნიერ თანამშრომელი
20. პაპაშვილი გიორგი - მეცნიერ თანამშრომელი
21. ებანოიძე ნათია - მეცნიერი თანამშრომელი

### **შტატგარეშე პერსონალი**

1. ყიფიანი ნანა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
2. ედიშერაშვილი ეთერ - მეცნიერ-თანამშრომელი
3. ალხაზაშვილი ნუგზარ - მეცნიერი თანამშრომელი
4. არჩვაძე მალხაზ - ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი
5. ბაქრაძე მზია - არქივარიუსი
6. კვირიკაშვილი ნუგზარ - მმდოლი
7. ოვსი ვლადიმერი - პროგრამისტი
8. მაისურაძე მარინე - მთარგმნელი
9. წილოსანი ლია - კონსულტანტი
10. ხვედელიძე თეა - დამლაგებელი

### **ასოცირებული თანამშრომლები**

1. ანთელავა ლიანა
2. ბორგიში მარჯუსი
3. ირინე გივიაშვილი
4. იამანიძე ნინო
5. კლდიაშვილი ანი
6. ხიმშიაშვილი ქახა

### **არქივი და ბიბლიოთეკა**

1. ქლენგი გურამი - საარქივო-საბიბლიოთეკო სექტორის გამგე
2. კალანდაძე გალერი - ბიბლიოთეკარი
3. კუპრეიშვილი ბაადური - არქივარიუსი
4. ლობჯანიძე აზა - არქივარიუსი
5. მამასახლისი ირმა - ბიბლიოთეკარი
6. მუხაძე დალი - უფროსი ბიბლიოთეკარი
7. პეტრიაშვილი ნინო - ბიბლიოთეკარი

## 8. პეტრიაშვილი ლიკა - ბიბლიოოთეკარი

ძეგლთა აღწერილობისა და სამცნიერო ინფორმაციის ჯგუფი:

1. დვალი თამაზი - ჯგუფის ხელმძღვანელი
2. დევდარიანი ფლერი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია

1. ფანცხავა მარინე - ლაბორატორიის გამგე
2. პეტაშვილი მზია - უფროსი არქივარიუსი
3. ვახანია ნიკა - დიგიტალიზაციის სპეციალისტი

## ცენტრის სტაჟიორები

1. ესმა ტყებუჩავა
2. სოფიო გაგოშიძე
3. თემურ ქანთარია-ჯაბადარი
4. კონსტანტინე ბოლქვაძე
5. პაპუნა ჩივაძე
6. ქეთევან ყავალაშვილი

2017 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;
3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება;
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;
5. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქარი;
6. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
7. კულტურათშორისი დიალოგი;
8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა;
9. ქართული სცენოგრაფია;
10. ახალი დროის ქართული არქიტექტურა;
11. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა;
12. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია: კვლევა, შეფასება, მონიტორინგი.

**1.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017  
წლის ბებმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი  
პროექტები**

**დასრულებული საპუჯეტო თემები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებელი
	შუა საუკუნეების ხელნაწერების ჭედური ყდების ორნამენტი		ლეილა ხუსკივაძე
		ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ხელნაწერების ჭედური ყდების ორნამენტი XIII.-დან დაწყებული XVIII-XIX სს.- ის ჩათვლით. ანხორციელებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია მათი ძირითადი მხატვრული მახასიათებლები და ცვლილებები, თანადროული ჭედური ორნამენტის განვითარების სხვადასხვა ეტაპისთვის.	
	გ.ჩუბინაშვილის მონოგრაფიის <b>Пещерные монастыри</b> <b>Давидгареджи</b> <b>კომენტირებული თარგმანი</b>		დიმიტრი თუმანიშვილი
	შესრულდა წლიური გეგმით გათვალისწინებული თარგმანი გ.ჩუბინაშვილის წიგნისა „Пещерные монастыри Давид Гареджи“, რომელსაც დაერთო შენიშვნები 1948 წლის შემდგომ გამოცემული ნაშრომებისა და მოპოვებული ცოდნის თაობაზე.		
	წმინდანთა კულტი შუა საუკუნეების საქართველოში – ხატები და რელიგიები		ნინო ჭიჭინაძე
	ქართულ ხატწერაში თვალნათლივ არის გაცხადებული წმინდანთა განვითარებული კულტი. სამეციერო თემაში განხილულია შუა სუაკუნეების შემორჩენილი ქართულ ხატებისა და რელიგიების მაგალითზე წმინდანთა კულტის ადგილი და მათი მინვენელობა რელიგიურ ცხოვრებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი წმინდანთა მრავლარიცხოვანი ხატები და მათი იკონოგრაფიული თავისებურებები საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ჩვენში ცალკეული წმინდანის თავისისცემის პრაქტიკის შესახებ. კვლევა ფოკუსირებულია წმინდანთა იკონოგრაფიულ თავისებურებებსა და თაყვანისცემის გვარობაზე.		
	პუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის დეკორატიული მორთვის სისტემა		ქეთევან აბაშიძე-დადიანი



ჰუჯაბის ივერიის დვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას ჯვარგუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს. იგი მონოგრაფიულად საგანგებოდ შესწავლილი არ არის, თუმცა სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში აზრი მისი სამშენებლო თარიღის შესახებ გამოკვეთილია. სხვადასხვა მკვლევართა მიერ ის ხშირად იმ ეკლესიების პარალელად იხსენიება, რომლებიც XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე და XIII საუკუნეების პირველ ნახევარშია აგებული – ქვათახვი, ბეთანია, ყინცვისი, კიმოთესუბანი, კირანცი, ფიტარეთი.

წულრუდაშენი, ახტალა, ფუქმარი, და სხვა. ეს ტაძრები “ბეთანია-ქვათახვის” ჯგუფის სახელწოდებით არიან ცონბილი. ამ ხუროთმოძღვრული ტიპის განვითარების „ჯაჭვში“ ჰუჯაბის ტაძარი ფიტარეთის, წულრუდაშენის, ახტალის, ფუქმარისა და სხვა ეკლესიებთან ერთად ერთერთი ბოლოში მდგომი ტაძრია. იგი XIII საუკუნეების პირველ მეოთხედში უნდა იყოს აგებული.


ჰუჯაბის ხუროთმოძღვარი ვერ “ელევა” მისი ეპოქის ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ მიღებულ ნორმებს, რომლითაც თავადაა ერთიანად განმსჭვალული, რაც ნათლად ვლინდება ტაძრის დეკორაციული გაფორმების სისტემაში, ფერადოვანი სამშენებლო მასალის შერჩევაში, ფასადებზე და გუმბათზე დეკორატიული კავეოლის სამკაულის მხატვრულ სახეებსა და მათი განაწილების პრინციპსა და ხასიათში.

წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში	ეპატერინე გედვებანიშვილი
<p>ნაშრომის უმთავრესი მიზანი ქართულ კულტურაში წმ. გიორგის სრულებით გამორჩეული მნიშვნელობის წარმოჩენაა, მასში საგანგებოდა განხილულია წმ. გიორგის გამოსახულების „ადგილობრივი“ იკონოგრაფიული თავისებურებანი. მაგ., დიოკლეტიანეს მღასხვრელი დიდმოწამის გამოსახულება, თუ წვეროსანი წმ. გიორგის იკონოგრაფია და სხვა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული დიდმოწამის ცხოვრების ციკლის ისტორიისა და მხოლოდ ქართული კულტურისთავის ნიშნეული სცენების განხილვას (მაგ ეშმაკის დაბორკვისა თუ სარკინოზთა დასჯის სცენა, წმ. გიორგის მიერ ბრძის განკურნების სცენა და სხვა).</p>	

ჯვარი როგორც ძალაუფლების სიმბოლო ადრეული შუა საუკუნეების რელიეფებზე	ქრისტინე საბაშვილი
---	--------------------

თემაში განხილულია შუა საუკუნეების რელიეფებზე წარმოდგენილი კომპოციზია ისტორიული პირები და მათ შორის აღმართული ჯვარი. განხილულია კომპოზიციის მხატვრული და ფუნქციური მნიშვნელობა.

XIX საუკუნის ახალციხის ურბანული დაგეგმარება	ნათია ნაცვლიშვილი
--	-------------------



ნაშრომში შესწავლით XVII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ოსმალეთის, ხოლო 1828 წლიდან 1918 წლამდე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალი ქალაქ ახალციხის ურბანული განვითარების გზები და თავისებურებები. კვლევა მომზადდა, როგორც საველე სამუშაოს ჩატარების, ასევე მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის დამუშავების შედეგად.

### ბერეკაშვილების მშენებლობა

### მანონ ლილუაშვილი

ნაშრომში განხილულია ბერეკაშვილთა გვარის იმერელი მშენებელი ოსტატების საქმიანობა XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში. აღწერილი და გამოვლენილია მათი შემოქმედების მხატვრული და ტექნიკური თავისებურებები და ინსპირაციის წყაროები.

### საეკლესიო დმრთისმსახურების ასახვა შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე

### თამარ ხუნდაძე



ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა ფასადებზე, ქვაჯვარებსა და კანკელებზე გამოკვეთილი საეკლესიო რიტუალების ამსახველი რელიეფური კომპოზიციები და ცალკეული გამოსახულებები. ფიგურათა შესამოსელის, თანმხლების წარწერების, სარიტუალო ნივთებისა თუ სხვა ატრიბუტების მიხედვით და რეალურ დეტალების მიხედვით განვითარებასთან შედარების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად განისაზღვრა ამ რელიეფებზე გამოსახულ პირთა

სასულიერო წოდება და კომპოზიციათა შინაარსობრივი კონტექსტი. ნაშრომში ყურადღება ეთმობა ამ რელიეფთა ადგილს და მნიშვნელობას საღვთისმსახურო პრაქტიკაში. სტილური და იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ზოგიერთი (გამოუკვლეველი) რელიეფის შესრულების დრო.

### მერაბ აბრამიშვილის შემოქმედება

### ნათია ებანოიძე

მერაბ აბრამიშვილი ერთეულთი რთულად “წასაკითხი” მხატვარია. აღნიშნული სირთულე თავს იჩენს სხვადასხვა ასპექტით: მისი ორიგინალური მხატვრული ფორმა რთულად ექვემდებარება სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს, რადგან აქ მხატვრული გამომსახველობა კლასიკური ხერხებისა და მათი სრული უარყოფის პარადოქსულ ერთობლიობაზე იგება, ხასიათდება ინფორმაციული დატვირთულობითა და კონცეპტუალური სიღრმით, არაერთმნიშვნელოვანია მხატვრობის ზოგადი კონტექსტი. კვლევის მიზანს წარმოადგენს მერაბ აბრამიშვილის მხატვრობის, როგორც ფენომენის წაკითხვა-ინტერპრეტაცია, რისთვისაც, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მხოლოდ სახელოვნებათმცოდნეო კვლევა საკმარისი საფუძვლის შექმნის საშუალებას ვერ მოგვცემს. ამდენად, აღნიშნული მხატვრობის ინტერპრეტაციას ვახდებოთ ინტერდისციალინარული მიდგომით, რისთვისაც სახელოვნებათმცოდნეო კვლევასთან ერთად, მივმართავთ ასევე კვლევის ფილოსოფიურ (კერძოდ ლინგვისტური ფილოსოფიის), ფსიქოლოგიურ (ფსიქოანალიზი) მეთოდებს.



	<b>გეოგრაფიული გარემო და არქიტექტურა (საქართველო და სომხეთი)</b>		<b>ასმათ ოქროპირიძე</b>
--	--	--	-------------------------

თემა ეხება ქართული და სომხური არქიტექტურის შედარებას რამდენიმე განსხვავებული ასპექტით, კერძოდ განიხილება თუ გეოგრაფიული გარემოს განუმეპრებლობა როგორ აისახება ქართულ და სომხურ საეკლესიო არქიტექტურაში. ცნობილია, რომ ორივე ქავებისათვის საზოგადოა დაუნაწევრებელი კედლის ესთეტიკა, მაგრამ ქარტულ არქიტექტურაში კედლის დაუნაწევრებლობა შემოდის მიწის მეტაფორულობის სახელით, სომხურში კი – ვულკანური ტუფისა. ამ ეტაპზე შესრულებულია სამუშაოს ძირითადი ნაწილი, მაგრამ კვლევის სპეციფიკამ მოითხოვა რელიეფისა და მინიატურის ჩართვა, რაზეც მუშაობა გრძელდება.

	<b>სამღვდელმთავრო საყდრები შუა საუკუნეების ქართულ საეპისკოპოსო ტაძრებში</b>		<b>ნატალია ჩიტიშვილი</b>
--	---	--	--------------------------



თემაში განხილულია ტაძრის ნაოსში დღემდე შემორჩენილი სამღვდელმთავრო დასაჯდომლები, რომლებიც ჩვენამდე ნიშებისა თუ ცალკე ნაგები საყდრების სახითაა მოღწეული. არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ასევე განხილულია გვიანი პერიოდის წერილობით წყაროებში შემორჩენილი ცნობები სამღვდელმთავრო საყდრების შესახებ.

	<b>ლე დანტიუსა და მმები ზდანევიჩების აღმოჩენა ტიფლისში</b>		<b>მარინე მემმარიაშვილი</b>
1912	წელს, მარტში კირილე ზდანევიჩი და ლე-დანტიუ თბილისში ჩამოვიდნენ. ლე-დანტიუ მიზად ისახავდა		მმები კირილე და ილია ზდანევიჩების და რუსი მხარვრის მიხეილ ლე-დანტიუს სახელი და ისტორიული როლი ქართულ კულტურაში უპირველ ყოვლისა ნიკო ფიროსმანიშვილის სახელს უკავშირდება.
1913	წელს მოსკოვში „მიშენის“ გამოფენის დროს მინიჭებული პრემიის მიერ მიმღები გამოარჩია.		ქართული ბუნების, ხუროთმოძღვრების და ხალხური ხელოვნების შესწავლას. თბილისში ლე-დანტიუმ მაშინვე სხვა მრავალრიცხვობან ნიმუშთა შორის ფიროსმანის მიერ შესრულებული აბრები გამოარჩია.
1916	წელს, 5 მაისს თბილისში კ. ზდანევიჩის სახელოსნოში მოეწყო ფიროსმანის სურათების ერთდღიანი გამოფენა.		საქართველოში ლე-დანტიუმ შექმნა ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტი - ე.წ. „კავკასიური ალბომი“. ალბომი შეიცავს 130 ფურცელს, ბოლო ორი გვერდი ეთმობა ფიროსმანის სურათების სიას, ზოგ შემთხვევებში მათი ადგილსამყოფელის მისამართის მითითებით. ეს სია ფიროსმანის ნამუშევრების პირველ ფიქსაციას წარმოადგენს. ალბომში ასევე ფიროსმანის ფერწერული ნამუშევრების რეპლიკებიც არის ჩართული.
1916	წელს, 5 მაისს თბილისში კ. ზდანევიჩის სახელოსნოში მოეწყო ფიროსმანის სურათების ერთდღიანი გამოფენა.		მიხეილ ლე-დანტიუმ და მმებმა ზდანევიჩებმა მხატვრულ ინტელიგენციის წრეებში პირველებმა დაიწყეს ფიროსმანის სურათების შეგროვება და პოპულარიზაცია.
1916	წელს მოსკოვში „მიშენის“ გამოფენაზე ფიროსმანის ოთხი ნამუშევრი პიველად იყო გამოფენილი.		1913 წელს მოსკოვში „მიშენის“ გამოფენაზე ფიროსმანის ოთხი ნამუშევრი პიველად იყო გამოფენილი.
1916	წელს, 5 მაისს თბილისში კ. ზდანევიჩის სახელოსნოში მოეწყო ფიროსმანის სურათების ერთდღიანი გამოფენა.		შემდგომში ი. ზდანევიჩის მეშვეობით ფიროსმანის შემოქმედებას გაეცნო პიკასო.
1916	წელს მოსკოვში „მიშენის“ გამოფენაზე ფიროსმანის სურათების დიდი რაოდენობა. შემდგომში ეს, ჩვენი კულტურის უდიდესი მემკვიდრეობა ეროვნული მუზეუმის კოლექციაში შევიდა.		კირილე ზდანევიჩმა შეაგროვა და გადაარჩინა განადგურებას სურათების დიდი რაოდენობა. შემდგომში ეს, ჩვენი კულტურის უდიდესი მემკვიდრეობა ეროვნული მუზეუმის კოლექციაში შევიდა.
	<b>თემო ნინუას თეატრალური სამყარო</b>		<b>მარიანა ოკლეი</b>
			თემო ნინუა ქართული სცენოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული და წამყვანი წარმომადგენელია. მართალია უკვე რამოდენიმე წელიწადი ის აღარ არის ჩვენს შორის, თუმცა თავისი ხელოვნებით ის უკვდავია.
			მხატვრის მიერ გაფორმებული რიგი სპექტაკლებისა პერფორმანსული გადაწყვეტილ ხასიათდება. ის ფარსი და ალეგორიაა, ირონიული და ფანტასმაგორიული, ზოგან ტრაგიკული. მაგრამ ყველგან გემოვნებიანი, ახლებური და ზუსტი. ზუსტი იმ გაგებით, რომ
			უბეუარად გადმოსცემს სპექტაკლის განწყობას. სფერო მისი მხატვრული სახიერებისა თეატრში მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მის სცენურ გაფორმებაში იკითხება არქიტექტორისა და გრაფიკოსის ხელწერის ნაზავი.

	<b>XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორები</b>		მაია მანია
	 <p>მიმდინარე 2017 წელს ვმუშაობდი XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების ბიოგრაფიებსა და მათ მიერ აშენებულ შენობებზე. წლიურ თემად გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრში აღებული მაქეს არქიტექტორ პაულ შტერნის შემოქმედება. ამ წელს ჩემს მიერ მოძიებულ იქნა ბიოგრაფიული ცნობები პ. შტერნის შესახებ. ცნობები პაულ შტერნის ბიოგრაფიის შესახებ ეყრდნობა მის შთამომავლების არქივში (შვეიცარია, ქ. ბერნი) დაცულ დოკუმენტებს (1909 წლის 29 იანვარს თბილისში გაცემულ შტერნის ატესტატს, პაულ შტერნის საქორწინო მოწმობას და სხვ) და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ინფორმაცია პ. შტერნის ადრეული საქმიანობის შესახებ აღებულია აგრეთვე საარქემას მუზეუმის დირექტორის თანაშემწის ოლავი პესტის (Olavi Pesti -assistant director of Saaremaa Museum) მიერ მოწოდებული მასალიდან. ჩემს მიერ ჩატარებული საარქივო კავლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია პაულ შტერნის თხოვა ათეულამდე ნამუშევარი.</p>	<p>მიმდინარე 2017 წელს ვმუშაობდი XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების ბიოგრაფიებსა და მათ მიერ აშენებულ შენობებზე. წლიურ თემად გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრში აღებული მაქეს არქიტექტორ პაულ შტერნის შემოქმედება. ამ წელს ჩემს მიერ მოძიებულ იქნა ბიოგრაფიული ცნობები პ. შტერნის შესახებ. ცნობები პაულ შტერნის ბიოგრაფიის შესახებ ეყრდნობა მის შთამომავლების არქივში (შვეიცარია, ქ. ბერნი) დაცულ დოკუმენტებს (1909 წლის 29 იანვარს თბილისში გაცემულ შტერნის ატესტატს, პაულ შტერნის საქორწინო მოწმობას და სხვ) და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ინფორმაცია პ. შტერნის ადრეული საქმიანობის შესახებ აღებულია აგრეთვე საარქემას მუზეუმის დირექტორის თანაშემწის ოლავი პესტის (Olavi Pesti -assistant director of Saaremaa Museum) მიერ მოწოდებული მასალიდან. ჩემს მიერ ჩატარებული საარქივო კავლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია პაულ შტერნის თხოვა ათეულამდე ნამუშევარი.</p>	
	<b>არქიტექტორი - ალექსანდრე თხეროვი</b>		თამაზ გერსამია
	<p>ალექსანდრე გრიგოლის ძე ოზეროვი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თბილისელი არქიტექტორია. 1885-87 წლებში დებულობდა მონაწილეობას ავჭალის წყალსადენის (ფაქტიურად პირველი თბილისის წყალსადენი) პროექტის შედგენაში. ამავე დროს იყო მისი ერთი მშენებელთაგანი. ა.ოზეროვის პროექტით აშენდა მრავალი შენობა-ნაგებობა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში, სომხეთში, უკრაინაში. მის მიერ აგებული შენობებიდან ბევრი დღესაც არსებობს თბილისში. ადსანიშნავია, რომ არქიტექტორის ცალკეულ შენობებს მინიჭებული აქვს არქიტექტურის ძველის სტატუსი. თავის თანამედროვეების მსგავსად ა.ოზეროვი ასევე ეკლექტიკისი იყო. მის ფასადებში სხვადასხვა ისტორიული სტილების არქიტექტურის მოტივებია გამოყენებული - „გუთური“, „ირანული“, „მავრული“, „რენესანსულ-ბაროკული“. 1900-იან წლებში იგი მიმართავს „მოდერნს“, სადაც ხშირად იყენებს გუთური არქიტექტურის ელემენტებსაც. ამავე დროს მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია ე.წ. ქართული სტილის შენობებს, სადაც ქართული ისტორიული არქიტექტურის მოტივებია გამოყენებული. ალექსანდრე თხეროვი გარდაიცვალა 1922 წლის ნოემბერში. დაკრძალულია თბილისში ძველ კუპის სასაფლაოზე.</p>		

	<b>„არ დეკოს“ ქსოვების განსახიერება ქართულ ხელოვნებაში</b>		<b>ნანა მირცხულავა</b>
XX	საუკუნის ხელოვნების უკანასკნელი შემაკავშირებელი სტილი „არ დეკო“ თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც წმინდა დეკორატიული სტილი(ქართული მხატვრული ხედვისთვის ორგანული, არსობრივი ნიშანი). განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების და განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი ქვეყნების ხელოვნება „არ დეკოს“ ქსოვებით სულმდგმულობდა (ოვალნათლივ იკვეთება ქართულ ხელოვნებაშიც).		
	<b>სერგო ქობულაძის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობა</b>		<b>თამარ ბელაშვილი</b>
XXს.-ის	ქართული სხვითი ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის სერგო ქობულაძის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობა, ცალკე კვლევის საგანი არასდროს ყოფილა. ხატვარი მუშაობდა როგორც მუსიკალური, ასევე დრამატიული სპექტაკლების სცენოგრაფიაზე. ამასთან მას ეკუთვნის თბილისის ოპერის თეატრის ფარდა, რომელიც 1970-იან წწ.-ში შენობის დაწვასთან ერთად განადგურდა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, წარმოაჩინოს ის ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც ქობულაძის სცენოგრაფიას გამოაჩინებს, ის თუ რამდენად გავს, ან განსხვავდება მხატვრისული დეკორაციები მის დაზღურ ნამუშევრებს, როგორ მუშაობს, გრძნობს და განიცდის ხელოვანი სივრცეს, რომელიც თეატრში დაზღური მხატვრობისგან განსხვავებით მას რეალურად აქვს და არ სჭირდება მისი ილუზორული ეფექტის შექმნა.		
	<b>ინტერვიუების ციკლი თემაზე – კრიტიკული აზროვნების საკითხები ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სკოლაში</b>		<b>ნინო ჭინჭარაული</b>
	მიმდინარე წელს ჩემს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ეფუძნება წინა, 2016 წელს განხორციელებულ სააგანრიშო კვლევის – „გურამგელოვანი: მხატვარი და თანამედროვეობა“, ნაწილობრივ კი, მიმდინარე წლის საკვლევი თემის – „ინტერვიუ თემაზე კრიტიკული აზროვნების საკითხები ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სკოლაში“ – ერთგვარ ინტეგრაციას და წარმოადგენს ვრცელ ინტერვიუს, რომელიც ერთობლივად ჩაიწერა მხატვარ გურამ გელოვანის მემკვიდრეებთან და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ სამსონ ლეჯავასთან. ინტერვიუ ზეპირი მეხსიერების გზით აღადგენს კონკრეტული მხატვრის პერსონალურ ისტორიას, ეპოქას		



კონტექსტში, რომელიც დარგის სპეციალისტისა და მხატვრის თანამედროვეობის შედარებით გვიანი მოწმისა და მკვლევარის, ხელოვნებათმცოდნის თვალითა და განცდით შეფასებულ ოდინდელ რეალობას.

### შეფასებითი ანალიზი ვიზუალურ ხელოვნებაში

გოგი ხოშტარია

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ხშირად ძნელია, ან შეუძლებელიც ობიექტურ-ცნობისეულ ანალიზე დამყარებული მხატვრული ფენომენის დახასიათება და შეფასებითი მსჯელობის გარკვეული სუბიექტურობა.

ნაშრომში პირველ რიგში გაანალიზებულია შეფასებითი მიღგომის სხვადასხვა საფეხურები ანტიკურობიდან დღევანდელობამდე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ევროპოცენტრისტული ტენდენციები XIX საუკუნეში – აკადემიური, ნორმატიული მიღგომა და შემდგომ ევროპცენტრიზმის დაძლევა (იაპონური მხატვრობის მაგალითზე, როგორც ერთ-ერთი პირველი შემთხვევა) და აქედან გამომდინარე მსჯელობის კორელაცია უახლესი დროის მხატვრობის ტენდენციებთან, მის მსოფლედვასთან და ძირითად ეპოქალურ პრინციპებთან.

## 1.2 გარდამაგალი, მრავალფლიანი საგიუჟეტო თემები

№	პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებელი
	ადრეული შუა საუკუნეების ლიტურგიკული ნივთები საქართველოში (ბრინჯაოს საცეცხლურები). თემა ორწლიანია /2017-2018/		კიტი მაჩაბელი



თემა ეძღვნება საქართველოში შემონახულ შუა საუკუნეების უძველეს ლიტურგიკულ ნივთებს – სახარების რელიეფური სცენებით შემცულ ბრინჯაოს საცეცხლურებს, რომელიც გვთავაზობნენ ქრისტიანული იკონოგრაფიის ადრეულ ნუმუშებს და რომელთა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ ქართული ხელოვნების ფარგლებს, შესრულებულია სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი. შესწავლილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

დაცული საცეცხლურების უმეტესობა, მოცემულია მათი მხატვრულ-სტილური ანალიზი. მიმდინარეობს საქართველოში შემონახული საცეცხლურების ადგილის განსაზღვრა აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნების კონტექსტში.

<b>არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში /2017-2018/</b>		<b>დავით ხოშტარია</b>
--	--	-----------------------

ნაშრომში შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრულ კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრის შესწავლის საფუძველზეც გაშუქდა არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი კონცეფცია და მისი რეპრეზენტაციის ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არქიტექტურულ ნახატებსა და მოცულობით გამოსახულებებს (ქოროფოს საქტიორო რელიეფი, ნახაზი რუისის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე, სვეტიცხოვლისა და აღაგერდის ტაძრების მოდელები და სხვა).

<b>სამეგრელოს დარბაზული ეკლესიები (XVII-XVIIIსს) /2016-2017/</b>		<b>ირინე ელიზბარაშვილი</b>
--	--	----------------------------



ნაშრომში განხილულია სქურის, აბასთუმნის და მებონიების დარბაზული ტიპის ეკლესია სამეგრელოში. ეკლესიები დღემდე გამოუკვლევი იყო. ჩემს მიერ მოძიებული იყო საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალა მათ შესახებ. შესრულდა ეკლესიების აღწერა, ფიქსაცია და მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, რომლის საფუძველზე სამივე ეკლესია დათარიღებულია. გამოიკვეთა ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი სამშენებლო-სტილისტური თავისებურებანი.

<b>გვიანი შუა საუკუნეების ახლად გამოვლენილი სადგომები და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში /2016-2017/</b>		<b>მანანა სურამელაშვილი</b>
--	--	-----------------------------

ბეთლემის აღმართი №11 შენობის მესამე სართულზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში ჩატარებულმა სახელოვნებათმცოდნეო კვლევაშ აჩვენა. რომ გვიანი შუა საუკუნეების ამ მეტად საყურადღებო კოშკური ტიპის თბილისური საცხოვრებელის მესამე სართულზე XIX საუკუნის დამდეგს განხორციელდა ე.წ. „სალხინო სახლის“ დაშენება. ჩვენამდე ერთული ნაგებობების სახით მოღწეული საცხოვრებლის ამ ტიპის გამოვლენა თბილისში საყურადღებო სიახლეა.

იმის გამო, რომ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში კვლავაც ვლინდება დღემდე უცხობი საყურადღებო სიახლეები, მართებული იქნება არ შეწყდეს მუშაობა ამ მიმართულებით და გაგრძელდეს ურბანული ძეგლების ამ დრომდე გაუხსნელი სათავსების, თუ ფრაგმენტულად შემორჩენილი სხვადასხვა სამშენებლო ფენების ფოტოფიქსაცია, იდენტიფიკაცია და დათარიღება, რაც გარკვეულად შეავსებს თბილისის განვითარების ისტორიის ზოგად სურათს.

<b>სამეცნიერო განვითარების ტიპი საქართველოში /2017-2018/</b>		<b>ნოდარ არონიშიძე</b>
--	--	------------------------

სამეკლესიანი ბაზილიკის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც გ. ჩუბინაშვილს უკავშირდება და მეტწილად ფუნქციური მნიშვნელობით იხსნება, ჩნდება განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა ნაწილიც, სამწუხაროდ, წერილობითი გამოკვლევის სახით არ ფიქსირდება და მხოლოდ სამეცნიერო წრის საუბრების თუ თეორიული მსჯელობის საგნად რჩება. წინამდებარე ტიპითან დაკავშირებულ ახლებურ თუ, უძრალოდ, განსხვავებულ განმარტებათა ნაწილს კი, გამოკვლებათა სახით წარმოდგენილს, ვხვდებით სხვადასხვა სტატიის სახით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი გარდაქმნისთვის ყოველ ამ მოსაზრებას საკმაო ოდენობით აკლია სამეცნიერო არგუმენტაცია და, ამდენად, დამაჯერებლობაც. ჩვენი ფიქრით, უპირველესად საკვლევია ზემოხსენებულ მოსაზრებათა ორი მიმართულება - ტიპის განმარტების „ფუნქციური“ მხარე და მისი „გენეზისის“ საკითხი. სამეკლესიან ბაზილიკათა, დაქმდე მიღებულ, ფუნქციურ განმარტებათა მიღმა გვხვდება ტიპის „გასხნის“ სრულებით განსხვავებული შეხედულებები, რაც გენეზისის საკითხებს უკავშირდება. ამგვარად, თემის უმთავრეს ხაზს სწორედ წინამდებარე ტიპან დაკავშირებული, დიდწილად ურთიერთმსხვაობარი, მოსაზრებების შეჯერება-შეჯამება, კრიტიკული ანალიზი და შემდგომ კი მოცემული საკითხების ახლებური გააზრება წარმოადგენს.



დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთა ეკლესიის მოხატულობა-ისტორიოგრაფია, იკონოგრაფია, თეოლოგიური პროგრამა. /2017-2018/		თინათინ ხოშტარია
--	--	---------------------



აღსრულდა წმ. დავითის ის სასწაული, რაც შემდგომში ამ ეკლესიის მოხატულობაში აისახა. მოწამეთას მოხატულობაში ზოგადად გარეჯის სამხატვრო სკოლისთვის დამახასიათებელი ნიშნები წინა პლანზეა წამოწეული: ბუნების, ცოცხალი არსებების მიმართ დიდი სიყვარული, მფარველობა (წმ. დავით გარეჯელის კალთას ამოფარებული კაკაბი). მოწამეთას მოხატულობა მკაფიო მაგალითია გარეჯული იკონოგრაფიის თვითმყოფადობისა და მისი ეროვნულ-ნაციონალური ხასიათისა. მოხატულობაში სამონასტრო წმინდანთა, მეუდაბნეთა

მოწამეთას ეკლესია დავით გარეჯის მრავალმთის მასივზე მდებარეობს და უდაბნოს მონასტრის კომპლექსს მიეკუთვნება. სამლოცველო კომპლექსის დასავლეთით, მთის თხემის ოდნავ შემაღლებულ კლდოვან მასივში გამოკვეთილ გამოქვაბულზე მიშენებულ ნაგებობას წარმოადგენს, რომლის ორქანობიანი სახურავიც ჩრდილოეთის მხრიდან მთის ფერდობს ერწყმის. ამ ადგილას შეხვდენ წმ. დავითი და რუსთავის მთავარი ბჟებაქარი - აქვე

და ასკეტთა სიმრავლე, მათი საპატიო ადგილზე წარმოჩენა, ბერმონაზვნების წმინდა დვაწლსა და ეკლესიის შუამავლობის იდეას წარმოაჩენს. წმ. დავითის ფიგურის გამოსახვა მთლიან პროგრამაში, მისი სიწმინდის ხაზგასმა და დვთის მადლისმიერი ძალით წარმართი ბუბაქარის ხსნა, რომელიც შემდგომში თვით გახდა სამონასტრო კომპლექსის აღმშენებელი-მოდვაწე, წმინდანის ბერული დვაწლის განვითარებაზე, სამონაზვნო ცხოვრებისა და ასკეტიზმის ხოტბის შესხმაზე, ამავე დროს დავით გარეჯის მონასტრის დაარსება-აშენების მფარგელთა და მეოხთა განვითარებაზე მიგვითითებს.

	<b>მუხრანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობა</b> <i>/2017-2018/</i>		<b>თამთა ხოსროშვილი</b>
	სოფელ მუხრანში არსებული წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია სავარაუდო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშია მოხატული. მხატვრობა საკმაოდ კარგად არის შემონახული. მასში წმ. გიორგის ციკლი და ძველი აღთქმის სცენებია ასახული. ამ მოხატულობის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს, რაც ცხადია ართულებს დათარიღებას.		
	<b>IX-X საუკუნეების გარეჯის მრავალმთის მონასტრების გეოგრაფიისა და სტრუქტურის დადგენის მცდელობა.</b> <i>/2017-2018/</i>		<b>დავით ჩიხლაძე</b>



არქიტექტურის, განსაკუთრებით კი კ. წ. „ილარიონის ფილიალის“ კომპლექსის განაალიზება. შედეგად, დაზუსტდა მის იდენტიფიკაცია და შეიქმნა კომპლექსის უფრო ზუსტი განხოგადობული მოდელი. მასზე დაყრდნობით გამოიყო ის ინდიკატორები, რომლებიც არსებული მონასტრების დათარიღების საფუძველს იძლევა.

კვლევის მეორე ეტაპზე, მიღებული ინდიკატორების საფუძველზე, მოხდა „ილარიონის ფილიალის“ კომპლექსთან ქრონოლოგიურად და არქიტექტურულად ახლოს მდგომი კომპლექსების ჯგუფის გამოვლენა, რომლებიც სხვადასხვა მონასტრებში იქნა მიკვლეული. გამოვლენილმა მასალამ გარეჯის სამონატრო ცხოვრების IX-X ს-ის გეოგრაფიაზე არსებულ შეხედულებებს ახალი საფუძველი შესძინა და მონასტრების სტრუქტურული აგებულების ამოკითხვის საშუალება გააჩინა.

	<b>ზოომორფულ გამოსახულებათა იკონოგრაფიის ტრადიციული მოტივები-წინაპრისტიანული ხანა და შუა საუკუნეები</b>		<b>მარიამ გაბაშვილი</b>
--	---	--	-------------------------

	/2017-2018/		
აღნიშნულ ეტაპზე შესრულებულია შემდეგი აქტივობა: თავმოყრილია წინაქრისტიანული ხანის არტეფაქტების ვიზუალური/საილუსტრაციო მასალა; მოხდა ამ მასალის კლასიფიცირება მხატვრული სტილის მიხედვით; მოძიებულია შესაბამისი პარალელური მასალა; დამუშავდა აღმიშნულ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.			
	<b>მარგარეტ ჩამბერსი, მოგზაურობა კავკასიაში /2015-2017/</b>		<b>დალი ანდრონიკაშვილი, ქთევან მიქელაძე</b>
	ინგლისელმა მოგზაურმა, მარგარეტ ჩამბერსმა 1912-1913 წწ.-ში საქართველოში იმოგზაურა. მოგზაურობის დროს მან ჩაიწერა თავისი შთაბეჭდილებები, გადაიღო დოკუმენტური ფოტოები, შეასრულა აქვარელები. ნაშრომის გამოქვეყნება მ. ჩამბერსმა ვერ მოახერხა. მისი ხელნაწერი ვიზუალურ მასლასთან ინახება ლონდონის სამეცნ გეოგრაფიულ საზოგადოებაში (2016 წელს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოვიპოვეთ მ. ჩამბერსის ტესტისა და ვიზულაური მასალის ასლები). წლიური თემის ფარგლებში შესრულდა მ. ჩამბერსის ტესტის კომენტირება და ანალიზი, შესწავლია მისი აქვარელები.		
	<b>ნიკორწმინდის რელიეფები XI ს.-ის ქვის ქანდაკების ისტორიის კონტექსტში. ნაწI /2016-2017 /</b>		<b>თამარ დადაიანი</b>
		თემაში ნიკორწმინდის რელიეფები XI საუკუნის ქართული ქვის ქანდაკების განვითარების ისტორიის კონტექსტშია განხილული. რელიეფურ სცენათა იკონოგრაფიულ ანალიზთან ერთად მოცემულია შედარებითი სტილური ანალიზიც: ამ პერიოდის რაჭის (კერძოდ ნიკორწმინდის) რელიეფების საქართველოს სხვა რეგიონების (განსაკუთრებით კი ლეჩეუმის, იმერეთის) თანადროულ პლასტიკასთან შედარება. ძეგლები განხილულია ისტორიულ კონტექსტში. წამოწეულია რაჭისა და ლეჩეუმის, იმერეთის ტერიტორიაზე არსებული სახელოსნოებისა და მქანდაკებლობის სკოლების სიახლოვის საკითხი.	
	<b>XII-XVIII სს.-ის ქართული შუა საუკუნეების ქანდაკების იკონოგრაფიული და სტილური ანალიზი /2017-2018/</b>		<b>ეპატერინე გვაჭატაძე</b>
	თემა განიხილავს XII-XVIII საუკუნეების ქართული სკულპტურის იკონოგრაფიულ და სტილურ თავისებურებებს, ამ ეპოქის გამოსახულებათა თემატურ დიაპაზონს. ამავდროულად, კვლევაში შევიდა ბოლო ხანებში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად ახლადაღმოჩენილი ძეგლები, რომელთა თარიღის განსაზღვრა მოხდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი, თანადროული ეპოქის ძეგლების კონტექსტის გათვალისწინებით.		
	<b>დასავლური და აღმოსავლური მხატვრულ- კულტურული ტენდენციები ქართული</b>		<b>ნინო ციციშვილი</b>

	<p><b>რელიგიური ხელნაწერების მსატვრობის მაგალითზე (XVII-XVIII სს)</b></p> <p>/2016-2017/</p>	
--	--	--

სამეცნიერო ოქმა გულისხმობდა XVII-XVIII საუკუნეების ქართული რელიგიური ხელნაწერების იმ ჯგუფის შესწავლას, რომელთა მხატვრობა დასავლური და აღმოსავლური ტენდენციების შემცველია. ოქმაზე მუშაობა მიმდინარეობდა 2015-2017 წლებში. ისლამური აღმოსავლეთისა (სპარსეთი) და დასავლეთევროპული მხატვრული ტენდენციების თანაარსებობა XVII-XVIII სს. საკულტო ხელნაწერების მხატვრულ გაფორმებაში ეპოქის წინააღმდეგობრივ, მრავალფეროვან პროცესებს ათვალისაჩინოებს. ორი,



ერთმანეთისგან არსობრივად განსხვავებული კულტურული ორიენტირის არსებობა (მათი გაჩენის მიზეზები – პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით) ქართულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ძვრების და სიახლეების შთაგონების წყაროდ იქცევა, რაც თვალნათლივ სწორედ ხელნაწერი წიგნის გაფორმებაში აისახება. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდის მინიატურა მნიშვნელოვნად ავესებს ცოდნას იმ ხანად საქართველოში არსებული მხატვრულ-კულტურული პროცესების შესახებ.

	<p><b>ტაო-კლარჯული ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების თავისებურებანი (IX-XV სს)</b></p> <p>/2016/2017/</p>	
--	---	--



წლიური ოქმის ფარგლებში განხორციელდა მხატვრულად გაფორმებული ტაო-კლარჯული ხელნაწერების მოკრება, ინვენტარიზაცია, აღწერა და კატალოგიზაცია ქრონოლოგიური არსებობის მიხედვით. ამავე პერიოდში მოძიებულ იქნა ტაო-კლარჯეთში გადაწერილი და მოხატული ხელნაწერებზე არსებული ბიბლიოგრაფია და მოხდა მისი დამუშავება. სამუშაოს პროცესში მოხდა მასალის გარშემო არსებულ ცოდნასთან ახალი მონაცემების შეჯერება და დამუშავება. თანადროულ ქართულ და ბიზანტიურ მასალასთან შეჯერებით გამოიკვეთა მინიატურების რეგიონალური თავისებურებები და მისი აღგილი შუა საუკუნეების ქართული სახითი ხელოვნების სივრცეში.

	<p><b>დღევანდელი ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალკედონური ტაძრების მოხატულობათა მხატვრული თავისებურებები</b></p> <p>/2017-2018/</p>	
--	---	--

თემა გარდამავალია, მიზნად ისახავს ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე

**მარინე ბულია  
მზია ჯანჯალია**

მდებარე ქალკედონური ტაძრების მოხატულობების რეგიონული ნიშნების გამორკვევასა და ჩვენებას. მოხატულობების იდეური და მხატვრული მახასიათებლები განიხილება ქართული და ბიზანტიური მხატვრობის კონტექსტში. ისტორიულად შერეული, ეთნიკურად და კონფესიურად სომხურ-ქართული, რეგიონის თავისებურებები საგანგებო ყურადღების საგანია.

	<b>ზემო სვანეთის საეპლესიო ხუროთმოძღვრება და მისი მიმართება ტრადიციულ არქიტექტურასთან. /2017-2018/</b>		<b>გორგი პატაშვილი</b>
--	--	--	----------------------------

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ზემო თვანეთში არსებული საეპლესიო ხუროთმოძღვრების მჭიდრო კავშირი სვანეთის საერო არქიტექტურასთან. მაჩუბების და კოშკების მაშიკულებიანი გასრულებები თავს იჩნეს რიგ ეკლესიათა საფასადო გაფორმებაში. ამასთანავე გარკვეული კავშირებია სივრცის განათების სისიტემასთან დაკავშირებით.

	<b>თავისუფლების მოედნის არქიტექტურული სახეცვლილებები 1991 წლიდან დღემდე /2017-2018/</b>		<b>ციცინო ჩაჩხუნაშვილი</b>
--	---	--	--------------------------------

თავისუფლების მოედნის არქიტექტურა მუდამ განიცდიდა ცვლილებას, მაგრამ 1991 წლის ეწ. თბილისის ომის შემდეგ და ბოლო ათწლეულში ეს პროცესი დაჩქარდა. წლიური თემის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ გარდასახვათა შეფასება და მათი გავლენა გარემოზე. როგორც მიმდინარე კვლევა აჩვენებს, მოედანზე ამჟამად წარმოებული ფართომაშტაბიანი მშენებლობა დიდ გავლენას მოახდენს მიმდებარე ქუჩების და ზოგადად ქალაქის ძველი უბნის ურბანულ სახეზე. წლიური თემის ფარგლებში პერიოდულად ტარდებაა სამშენებლო სამუშაოების დეტალური ფოტოფიქსაცია.



	<b>საქართველო და ირანული სამყარო ბრინჯაოს სარტყელთა დეკორის მიხედვით /2017-2018/</b>		<b>ნინო გომელაშვილი</b>
--	--	--	-------------------------

შეგროვილია სარტყელთა ადრეული ნიმუშები და მათი თანმხლები კომპლექსები (ძვ.წ. II ათასწ. დასასრული).


მოძიებულია სარტყელთა დეკორის სამხრეთკავკასიური (კერამიკა, იარაღი - ძვ.წ. II ათასწ. III მეოთხედი) და ირანული პარალელები (მოხატული კერამიკა - ძვ.წ. IV-III ათასწ.).

შედგენილია სარტყელთა გავრცელების რუკა მოტივთა წინააზიური პარალელებით, რომლებითაც შეიძლება თვალი გაედევნოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე სარტყელთა მხატვრული სახეების შემოსვლის გზებს.

დამუშავებულია ლიტერატურა, რომელიც შეეხება განსახილველი მასალის

**კონტექსტისა და მის დათარიღებას.**

	<b>ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება თბილისში (1801-1918), I ნაწილი /2017-2018/</b>		<b>გიორგი ჭანიშვილი</b>
ნაშრომში შესწავლილია თბილისის ურბანული განვითარების გზები და თავისებურებები იმ პერიოდში, როცა ქალაქი რუსეთის იმპერიაში შედიოდა და კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. კვლევა მომზადდა, როგორც საველე სამუშაოს ჩატარების, ასევე მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის დამუშავების შედეგად.			
	<b>თბილისის ქარვასლების არქიტექტურა</b>		<b>ირინე მანია</b>
ნაშრომი მიზნად ისახავს თბილისის ქარვასლების ისტორიის და არქიტექტურის შესწავლას, ფუნქციური თავისებურებების გამოვლენას და ძველი ქალაქის ისტორიულ ქსოვილში მათი ადგილის განსაზღვრას. 2017 წლის კვლევის მთავარი ამოცანა ქარვასლებისა და სხვა მსგავსი სავაჭრო ნაგებობების გეოგრაფიული განვითარების კვლევა და რუკის შედგენა იყო. გარდა ამისა, კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სავაჭრო ნაგებობების შესწავლის საფუძველზე აბრეშუმის გზის სავარაუდო ტრაექტორიის განსაზღვრას, ნაგებობების ფუნქციური და სტილისტური თავისებურებების შესწავლა ისახავს მიზნად. ჩატარდა ფოტოფიქსაცია.			
	<b>ჯ. იოსებიძის მონოგრაფიის “აჭის მოხატულობა. XIII საუკუნის მიწურულის ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლი” კომენტირებული თარგმანი. /2017-2018/</b>		<b>მარინე ყენია</b>
ჯ. იოსებიძის მონოგრაფიის “აჭის მოხატულობა. XIII საუკუნის მიწურულის ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლი” კომენტირებული თარგმანი. კომენტარებში მითითებული იქნება ჯ. იოსებიძის მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდგომდროინდელი ბიბლიოგრაფია მის მიერ მოხმობილ მოხატულობათა შესახებ.			
	<b>ს. ქობულაძის არქივის დამუშავება /2017-2018/</b>		<b>მარიამ გაჩეჩილაძე</b>
2017 წლის მანძილზე მოხდა სერგო ქობულაძის არქივის მასალების დახარისხება (პირადი დოკუმენტაცია, ოფიციალური და პირადი მიმოწერა, სამხატვრო აკადემიის ოქმები და სამეცნიერო მოხსენებები და ა.შ.). დახარისხებული მასალები განთავსება საეციალურ საქაღალდებულში. განხორციელდა ნაწილობრივი დასკანერება და ფოტოფიქსირება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს ჩანაწერი, რომლშიც პნი სერგო თავად აფიქსირებს იმ სახლის მისამართს (მნელაძის ქ. № 32) სადაც იგი დაიბადა და ცხოვრობდა 5 წლის ასაკამდე.			
ახალციხის მუნიციპალიტეტის მცდელობით, მოიქებნა სახლი (ამჟამინდელი - ზაქარია დიდიმამიშვილის ქ. № 32). ამ სახლის ფასადზე, მიმდინარე წლის 30 ივნისს გაიხსნება სერგო ქობულაძის მემორიალური დაფა.			
არქივში ინახება ბევრი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელთა გაცნობა და შესწავლა დიდ დროს ითხოვს, აქედან გამომდინარე სამუშაო მომდევნო წელსაც გაგრძელდება.			
	<b>ავტოპორტრტი ქართულ მოდერნისტულ</b>		<b>ციხია კილაძე</b>

	<b>მხატვრობაში /2017-2018/</b>	
